პროექტი

# საქართველოს კანონი

## "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N3, 13.02.2004, მუხლ. 7) შეტანილ იქნას შემდეგი დამატება და კანონის მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

"5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების) შემოწმებას და გარე აუდიტს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა, "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით და ფარგლებში."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი